<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---სექტემბერი 2019 წელი

ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის ფილოსოფოსის, აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის მონაკვეთს მიენიჭოს ფილოსოფოსის, აკადემიკოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კმ., №6).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=480672 Y=4620521
ბაჩანა ბრეგვაძის ქ.
X=480748 Y=4620330

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

წერილის ნომერი: 01-01181433816

თარიღი: 23.05.2018

ადრესატი:
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

12 03181443603
24.05.18.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით მომართა მოქალაქე ანა ბრეგვაძემ, ქ.თბილისის რომელიმე ქუჩისთვის ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების თაობაზე.

მოგახსენებთ, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროდან წარმოდგენილია გამოჩენილი ქართველის მწერლის, მთარგმნელის, ფილოსოფოსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ორგზის ღირსების ორდენის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ბაჩანა ბრეგვაძის დაკრძალვის ცერემონიის გამართვისთვის უწყებათშორისი კომისიის სხდომის ოქმი (იხ.დანართი), რომლის საფუძველზეც სხვა ღონისძიებებთან ერთად გათვალისწინებულია ქ.თბილისის რომელიმე ქუჩისთვის ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების საკითხის წარდგენა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის მე-7 მუხლის I პუნქტის თანახმად, ვშუამდგომლობთ თქვენ წინაშე, რათა ქ.თბილისის რომელიმე ქუჩას ეწოდოს ბაჩანა ბრეგვაძის სახელი.

გთხოვთ, აღნიშნული ინიციატივა განიხილოთ დადგენილი წესის მიხედვით.

დანართი: 6 გვერდი.

პატივისცემით,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

ქალაქ თბილისის მერს, ბ-ნ კახა კალაძეს

ბ-ნო კახა,

2016 წლის 13 თებერვალს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა დიდი ქართველი მოაზროვნე, ქართული კულტურის უდიდესი ამაგდარი, მთარგმნელი, მწერალი, ფილოსოფოსი, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, მრავალი ლიტერატურული პრემიის ლაურეატი, საქართველოს ეკლესიის მთავარი ჯილდოს წმინდა გიორგის ორდენის კავალერი, ღირსების ორგზის ორდენოსანი, თბილისის საპატიო მოქალაქე ზაზა ბრეგვაძე - პატრიარქის კურთხევითა და საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით დაკრძალული მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში. მიუხედავად ამ ხმაურიანი რეგალიებისა, მან უჩუმრად და უხმაუროდ იცხოვრა. ამ ჯილდოთაგან თითქმის აბსოლუტური უმრავლესობა დაუსწრებლად აქვს მიღებული. პრინციპულად არ ყოფილა არასოდეს არც ერთი პარტიის წევრი. სიყმაწვილის წლებში, კომუნისტურ სინამდვილეში თავი აარიდა სავალდებულო კომკავშირელობასაც კი. არასოდეს, არავითარი მატერიალური ჯილდო, ან რაიმე სახის ქონება არ მიუღია და მით უმეტეს, არ მოუთხოვია არც ერთი ხელისუფლებისთვის თუ თანამდებობის პირისთვის. ცხოვრების მიწურულზე ბ-ნი ბიძინა ივანიშვილის დახმარების დაბრუნებაც არაერთხელ სცადა, თუმცა, ვერ მოახერხა და ხელუხლებლად დატოვა. ზემოთქმულისა გამო, ზაზა ბრეგვაძის ცხოვრება ფაქტიურ სიღარიბეში გაილია. იცხოვრა უკომპრომისოდ, თავის საქმეში მტკიცედ და შექმნა უდიდესი კულტურული სიმდიდრე. საქართველოს მოსახლეობას დღეს აქვს საშუალება უმნიშვნელოვანეს ავტორებს, ფილოსოფიურ და მხატვრულ ნააზრევს მშობლიურ ენაზე გაეცნოს. ზაზა ბრეგვაძის მიერ რელიგიური ლიტერატურის, ხოლო 70-იან წლებში სახარების ძველი ბერძნული დედნიდან თანამედროვე ქართულ ენაზე თარგმნა, რათა ამ უმთავრესი ტექსტის შინაარსი საყოველთაოდ გასაგები და ხელმისაწვდომი გამხდარიყო, გახლდათ უხმაურო, მაგრამ უდიდესი დემარში და პროტესტი საბჭოთა ხელისუფლების მიმართ და კიდევ ერთი უდიდესი ძღვენი მივიწყებული სულიერებისადმი. ასეთი ცხოვრების გამო მას სენაკელ ბერს, დიდ მთაწმინდელთა საქმის გამგრძელებელს უწოდებენ , მის ნამოღვაწარს კი 100 ინსტიტუტის ნამუშევრის ტოლფასად რაცხავენ.

ზაზა ბრეგვაძის გარდაცვალების შემდეგ ყველა ნეკროლოგი და მათ შორის თბილისის მერიისა, იუწყებოდა, რომ ზაზა ბრეგვაძის სახელი მიენიჭებოდა ერთ-ერთ ქუჩას. მას შემდეგაც არაერთ ბეჭდურ გამოცემაში აღინიშნა , რომ ზაზა ბრეგვაძის სახელი მინიჭებული აქვს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. თუმცა კი, დღეს, როდესაც ზაზა ბრეგვაძის თავმდაბლობა წინ ვეღარ აღუდგება ასეთ ღონისძიებებს, მისი სახელი ნამდვილად იმსახურებს, რომ მინიჭებული ჰქონდეს თბილისის ერთ ერთ ქუჩას (თუ უფრო მეტს არა).

ამ წერილის მოწერა 2018 წლის 2 მაისს თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე თქვენი გამოსვლის შემდეგ ვიფიქრეთ. თქვენ ბრძანეთ, რომ თბილისში 18 ლოკაციას სახელი გადაერქმევა. შესაძლოა ამ სახელთა შორის ზაზასა ბრეგვაძეცაა - არ ვიცით, თუმცა ძალიან

დროული და მართებული იქნებოდა, მათი სახელობის ქუჩების სიახლოვეს, ვის ვვერდითაცაა დაკრძალული - ილია ჭავჭავაძისა და ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩათა და ამავე წრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიმდებარედ, არსებობდეს ბაჩანა ბრეგვაძის სახელობის ქუჩაც (მაგალითად ნაფარეულისა, ან დარიალის ქუჩებს თუ მიენიჭებათ). მით უმეტეს, რომ 1964 წლიდან თბილისში სწორედ ამ ტერიტორიაზე ცხოვრობდა - მეუღლის კუთვნილ ბინაში (მაშინდელ გარეუბანში) ზაქარია ფალიაშვილის ქუჩაზე. აქ დასახლდა, ქმნიდა და აქვე გარდაიცვალა. ასევე სასურველია მისი საცხოვრებელი სახლის ფასადზე - ფალიაშვილის ქ. #62-ა - არსებობდეს მემორიალური დაფა.

ბ-ნო მერო, იმედი გვაქვს გაითვალისწინებთ ჩვენი წერილის შინაარსს. გვჯერა, საკითხს მიუდგებით თბილისისა და თბილისის მერიისთვის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე და მიიღებთ შესაბამის გადაწყვეტილებას.

უღრმესი პატივისცემით

ბაჩანა ბრეგვაძის ოჯახი

იმ უამრავი მოქალაქის სახელით, ვინც სისტემატურად გვეკითხება, შესრულდა თუ არა მერიის დაპირება თბილისის ერთ-ერთი ქუჩისთვის ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების შესახებ.

P.S. თავს უფლება მივეცით წერილი წარმოგვედგინა ამ ინიციატივის მომხრეთა ხელმოწერების გარეშე და არ შევაწუხეთ ადამიანები და თავად ბაჩანა ბრეგვაძის ხსოვნა ხელმოწერათა შეგროვებით, რადგან ინიციატორი თავად თბილისის მერიაა.

03.05.2017.

გამოჩენილი ქართველი მწერლის, მთარგმნელის, ფილოსოფოსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ორგზის ღირსების ორდენის, ივანე მაჩაბლის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, დავით აღმაშენებლისა და საბას ორგზის პრემიის ლაურეატის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ბაჩანა ბრეგვაძის დაკრძალვის ცერემონიის მაღალორგანიზაციულ დონეზე გამართვისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომის ოქმი

ქ. თბილისი 16/02/2016 წ.

2016 წლის 16 თებერვალს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ჩატარდა გამოჩენილი ქართველი მწერლის, მთარგმნელის, ფილოსოფოსის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აკადემიკოსის, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრის, ორგზის ღირსების ორდენის, ივანე მაჩაბლის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, დავით აღმაშენებლისა და საბას ორგზის პრემიის ლაურეატის, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორის ბაჩანა ბრეგვაძის დაკრძალვის ცერემონიის მაღალორგანიზაციულ დონეზე გამართვისთვის უწყებათაშორისი კომისიის სხდომა. კომისიის შემადგენლობაში შედიან:

ა) მიხეილ გიორგაძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მანანა ბერიკაშვილი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;

გ) ქეთევან დუმბაძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი;

დ) დავით ნარმანია - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

ე) ნინა ხატისკაცი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ვ) მაკა ნასრაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

ზ) გიორგი ალიბეგაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

ო) არჩილ თალაკვაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ი) გიორგი კაკაურიძე - საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე;

კ) ნინო კობახიძე - საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ეფარიოსის მოადგილე;

ლ) ზურაბ კიკნაძე - მწერალი, მთარგმნელი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მ) მამა გიორგი (ზვიადაძე) - სასულიერო აკადემიის პროტოპრესვიტერი;

ნ) ვლადიმერ პაპავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

ო) მიხეილ ძაგანია - შპს „ჰერმესის" დირექტორი;

პ) ბადრი ქუთათელაძე - დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დირექტორი;

ჟ) მარინა დავითაშვილი - თბილისის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონების გაერთიანების დირექტორი.

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ა) მიხეილ გიორგაძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - კომისიის თავმჯდომარე;

ბ) მანანა ბერიკაშვილი - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე;

გ) ქეთევან დუმბაძე - საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მრჩეველი;

დ) დავით ნარმანია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერი;

ე) ნინა ხატისკაცი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;

ვ) მაკა ნასრაშვილი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;

ზ) გიორგი ალიბეგაშვილი - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე;

თ) არჩილ თალაკვაძე - საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე;

ი) ზურაბ კიკნაძე - მწერალი, მოარგმნელი;

კ) მამა გიორგი (ზვიადაძე) სასულიერო აკადემიის პროტოპრესვიტერი;

ლ) ვლადიმერ პაპავა - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი;

მ) მიხეილ ძაგანია - შპს „ჰერმესის" დირექტორი;

ნ) ბადრი ქუთათელაძე - დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დირექტორი;

ო) მარინა დავითაშვილი - თბილისის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონების გაერთიანების დირექტორი.

სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი - მიხეილ გიორგაძე.

სხდომის მდივანი - იურიდიული დეპარტამენტის დირექტორი - ნოდარ რაზმაძე

კომისიის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება ეთხოვოს:

1. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას უზრუნველყოს ბაჩანა ბრეგვაძის ოჯახის მსარდაჭერის მიზნით, დაკრძალვასთან დაკავშირებული ყველა საჭირო ღონისძიების განხორციელება, კერძოდ: მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა მთაწმინდის პანთეონში ბაჩანა ბრეგვაძის დაკრძალვა, დამკრძალავი ბიურო „ჰერმესი"-ს (სარიტუალო მომსახურება, სასახლე, ავტომანქანა) მომსახურება, სარიტუალო სუფრა (200 ადამიანზე), საქალაქო პახამვიდზე დამსწრეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა, საქალაქო სასწრაფო სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა, საფლავის მოწესრიგება - კეთილმოწყობა, გადასვენება და დაკრძალვა. ასევე უზრუნველყოს თბილისის ერთ-ერთი ქუჩისათვის ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭების შესახებ საკითხის ქ ობილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთვის წარდგენა.

2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უზრუნველყოს სარიტუალო პროცესიის დროს საზოგადოებრივი წესრიგისა და ესაფრთხოების დაცვისათვის დამატებითი ზომების მიღება (ესკორტი, მარშრუტის დაგეგმვა/ორგანიზება, საჭიროების შემთხვევაში საპატრულო პოლიციის ან/და საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტის მობილიზება, მოსახლეობის ინფორმირება მარშრუტებთან დაკავშირებული შეზღუდვების შესახებ).

3. საქართველოს საპატრიარქოს სიონის საკათედრო ტაძარში და მთაწმინდის პანთეონში სამოქალაქო პანაშვიდის ჩატარებისათვის აუცილებელი ღონისძიებების განხორციელება.

4 საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს განახორციელოს პროცესის კოორდინაცია, კომისიის წევრებთან და შესაბამის უწყებებთან კომუნიკაცია და საორგანიზაციო საკითხების უზრუნველყოფა.

სხდომის თავმჯდომარე:

მიხეილ გიორგაძე

სხდომის მდივანი:

ნოდარ რაზმაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-031919736
თარიღი: 16/07/2019
კოდი: 5288

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადააამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ ალექსანდრე ტოგონიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი საბურთალოს რაიონში, იოსებ იმედაშვილის ქუჩის მონაკვეთისთვის ბაჩანა ბრეგვაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია და გამოგვიგზავნოთ ბაჩანა ბრეგვაძის ქუჩის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 1 (ერთი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: 67-01191973406
თარიღი: 16/07/2019
კოდი: 4117

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი №2

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

15-031919813-03

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ხიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 16.07.2019 წლის #03-031919736 (16.07.2019წ. #14-01191971224-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, ჩიხების, შესახვევებისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, თბილისი, 0160, ა. შარტავას ქ. N7, (+995 32) 272 22 22, ფაქსი:(+995 32) 237 82 24

ბაჩანა ბრეგვაძე

(1936-2016)

ფილოსოფოსი, მთარგმნელი, მწერალი, საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

დაიბადა 1936 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ სხვავაში. 1954 წელს ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაამთავრა 1960 წელს. 1962-66 წლებში სწავლობდა დაუსწრებელ ასპირანტურაში ფილოსოფიის ისტორიის სპეციალობით. 1961-66 წლებში, თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის კათედრის უფროსი ლაბორანტია, 1973-1994 წლებში, საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა ძთავარი სარედაქციო კოლეგიის მხატვრული თარგმანისა და „რუსთაველის ბიბლიოთეკის" რედაქციის გამგეა. 2001 წლიდან 2006 წლამდე ბაჩანა ბრეგვაძე აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ბიზანტინოლოგიის განყოფილების წამყვანი მეცნიერ თანამშრომელია. 1999 წლიდან კი ფილოსოფიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ თანამშრომელი. მთარგმნელობითი და სამეცნიერო მოღვაწეობის პარალელურად, სხვადასხვა დროს, კითხულობდა ლექციებს თსუ-ის კლასიკური ფილოლოგიის კათედრაზე. 2013 წელს ბაჩანა ბრეგვაძე არჩეულია საქართველოს ეროვნული აკადემიის აკადემიკოსად. 1973 წლიდან არის საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი. გამოქვეყნებული აქვს საკუთარი ფილოსოფიური, ფილოლოგიური შრომებისა და მსოფლიოს ფილოსოფიური, რელიგიური, ესთეტიკური სოციოლოგიური, ისტორიული თუ ლიტერატურული კლასიკის შედევრთა თარგმანების ათეულობით წიგნი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, ლედნების ენიდან არის შესრულებული.

ბაჩანა ბრეგვაძე თარგმნიდა ძველი ბერძნული, ლათინური, იტალიური, ფრანგული, ესპანური, გერმანული, პორტუგალიური, რუსული ენებიდან. მის მიერ შესრულებული და გამოქვეყნებული ძირითადი შრომების გარდა დაბეჭდილი აქვს 70-მდე ნაშრომი: პლატონის, დანტეს, არისტოტელეს, ევრიპიდეს, ჰერაკლიტე ეფესელის, მარკუს ტულიუს ციცერონის, ჯეიმზ დარმსტეტერის, ანატოლ ფრანსის, ლაროშფუკოს, ლუიჯი პირანდელოს, მიშელ მონტენის, ანრი ბერგსონის, ნიკოლოზ ლოსკის, ლაბრიუიერის, ალბერტ შტეკლის, ანტუან დე სენტ-ეგზიუპერის, სვამი ვივეკანანდას, მორის რეისალის, შარლ დილის, ნიკოლოზ ბერდიაევის, ემილ ჟებარის, პიერ ტეიარ დე შარდენის, ვერნერ ჰაიზენბერგის თხზულებათა თარგმანები, იტალიური და ესპანური ზღაპრების თარგმანები, წერილები, ესსეები, ლიტერატურის და ესთეტიკის საკითხებზე.

დაჯილდოებულია ღირსების ორი ორდენით (1995_2005) სხვადასხვა დროს მინიჭებული აქვს ივანე მაჩაბლის, ილია ჭავჭავაძის, ექვთიმე თაყაიშვილის, ივანე ჯავახიშვილის, საბას (ორგზის), და დავით აღმაშენებლის პრემიები.

გარდაიცვალა 2016 წლის 14 თებერვალს, 80 წლის ასაკში.დაკრძალულია მთაწმინდის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.